MES 7 20 00361358

04/05/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.04.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:00
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკოლოზ კიკნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	V
2	მიხეილ გიორგაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამავე აფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	V
3	მსოფიკო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამავე ფაკულტეტის განათლების სკოლის დირექტორი და პროფესორი	V
4	მარიკა კაპანაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების სკოლის პროფესორი	V
5	ლია ტვილდიანი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მიმართულების პროფესორი	V
6	ნინო ჟვანია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
7	ირმა ინაშვილი	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
8	გიორგი ქვარცხავა	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	VI
9	ნინო ლომიძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
10	პაატა კოღუაშვილი	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VI
11	ინგა ლომაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხისა და მეცნიერების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსი	VI

12	ზაურ ლომთათიძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
13	ილია გოროზია	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
14	ზურაბ ხონელიძე	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	VII
15	რომეო გალდავა	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უფროსი	VII
16	ნესტან კეკელიას	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიების და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი	VII
17	მარინე ზარქუა	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიების და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	VII

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები)

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დიანა მჭედლიშვილი	ჩაერთო "ზუმით"	V
2	ქეთევან ქობალია	ჩაერთო "ზუმით"	V
3	ეკა გეგეშიძე	ჩაერთო "ზუმით"	VI
4	თამარ სანიკიძე	ჩაერთო "ზუმით"	VI
5	ელენე ჭირაქაძე	ჩაერთო "ზუმით"	VI
6	ეკა ლეფსვერიძე	ჩაერთო "ზუმით"	VII
7	ირინა ნაკაშიძე	ჩაერთო "ზუმით"	VII
8	კონსტანტინე ებრალიძე	ჩაერთო "ზუმით"	VII

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N43 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნეს ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N46 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
5. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მიკრობიოლოგიის “ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N43 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნეს ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N46 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
5. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მიკრობიოლოგიის “ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N43 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

2. მეორე საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნეს ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2020 წლის 20 მარტის N46 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო და „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო და „ბიზნეს ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო პროგრამებისთვის, გადაწყვეტილების მიღების თარიღად განესაზღვროს საკითხების საბჭოს სხდომაზე განხილვის თარიღი, რომლის მიზეზადაც დასახელდა სტუდენტთა დაფინანსების საკითხი, რადგან სახელმწიფო დაფინანსების პერიოდი გახლავთ პირველი აპრილი და პირველი ნოემბერი, შუამდგომლობის საფუძველზე კი გადაწყვეტილების თარიღად განისაზღვრება 2020 წლის 20 მარტი, რითაც თავიდან იქნება აცილებული სტუდენტთა დაფინანსების პრობლემა.

24 მარტის საკითხები:

1. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

26 მარტის საკითხები:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „განათლების კვლევების და ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

27 მარტის საკითხები:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინიტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

30 მარტის საკითხები:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მეცხოველეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ზემოაღნიშნული საკითხების შესაბამისი გადაწყვეტილებები ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების თარიღის დღეს.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ შუამდგომლობებს.

5. მეხუთე საკითხი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)" აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-

8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, 3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

საბჭოს წევრის - ნინო დობორჯგინიძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტისას დაწესებულებაში შექმნილი იყო ძალიან კარგი გარემო, საგანმანათლებლო პროგრამამ და ადამიანურმა რესურსმა მოახდინა კარგი შთაბეჭდილება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს დარჩა განცდა, რომ პროგრამას სჭირდება განვითარება. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა 2 რეკომენდაცია, რომელიც მარტივად გადასაწყვეტია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ორ საგანს: „მათემატიკის სწავლება ინკლუზიური განათლების პირობებში“ და „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე“, რომლებსაც არ აქვთ დაშვების წინაპირობები განსაზღვრული, თუმცა შეისწავლება ამავე თემატიკის ორი სასწავლო კურსი: „განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე“ და „ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები“, მათი სიღრმისეული და კარგი ცოდნა წაადგებოდა სტუდენტს, რომ განემტკიცებინა ცოდნა მათემატიკის სწავლის ბლოკის საგნებში. ექსპერტის თქმით, კარგი იქნებოდა საგნის „მათემატიკის სწავლება დაწყებით საფეხურზე ინკლუზიური განათლების პირობებში“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულიყო „ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები“, ხოლო საგნისთვის „მათემატიკის

სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე“, რომელიც იყენებს დიფერენცირებულ, განმავითარებელ სწავლებას, სასწავლო კურსი „განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე“ განსაზღვრულიყო წინაპირობად. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციის, მათი თქმით, სასწავლო კურსების „ბუნებისმეტყველების სწავლების საფუძვლები დაწყებით საფეხურზე“ და „ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მიდგომები“ შედეგები, უნდა გაიწეროს უფრო მკაფიოდ და იყოს შინაარსზე მორგებული. ექსპერტის განმარტებით, ორივე სასწავლო კურსს გაწერილი აქვს სწავლის შედეგები, 50% ზოგად კონტექსტშია და მეორდება. შესაბამისად, რეკომენდაციაა, რომ გადაიხედოს სწავლის შედეგები და მოერგოს ისინი კონკრეტულ საგნებს. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჩაშენებული აქვს პრაქტიკა, რომელიც უკვე 4 სასწავლო კურსშია, ასევე აქვთ სტუდენტის პორტფოლიო, სადაც იწერება სტუდენტის შეფასება.

დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიკო ლობჟანიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. რაც შეეხება რეკომენდაციებს მისი აზრით, მას უფრო რჩევის ხასიათი აქვს. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ეს არის 1 წლიანი სასერტიფიკატო პროგრამა, რომლის დაშვების წინაპირობასაც წარმოადგენს მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, რომლის საკითხებიც წინასწარაა განსაზღვრული, საგანმანათლებო პროგრამის ხელმძღვანელები არიან საქვეყნოდ ცნობილი ექსპერტები ამ მიმართულებით, მათი ძალისხმევა დევს ამ საგანმანათლებლო პროგრამს შედგენაშიც, სასერტიფიკატო გამოცდა ამოწმებს იმ მინიმალურ ცოდნას რაც საჭიროა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად. გარდა ამისა, აღნიშნული ორი კურსი მაინც წინ უძღვის მეთოდურ კურსებს წინა სემესტრში, კერძოდ, ზოგად პედაგოგიურ და ზოგად დიდაქტიკურ კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიკა კაპანაძემ აღნიშნა, რომ ის ვიზიტს არ ესწრებოდა, თუმცა იცის, რომ ექსპერტებმა დაათვალიერეს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც ბევრი უნივერსიტეტისთვის იქნება სასურველი. მათი სტუდენტები, მომავალი მასწავლებლები, უშუალოდ პრაქტიკულად ახორციელებენ ყველა აქტივობას, მისი ყველა კურსი არის პრაქტიკული კურსი, თითოეული მისი შედეგი ამის მიხედვით არის გაწერილი, თითოეული სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს კვლევით კომპეტენციებს, აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, მისი თქმით, თითოეული სილაბუსისთვის ძალიან კონკრეტულად არის გაწერილი შინაარსობრივი საფუძვლები, კვლევითი სამუშაოები, პრობლემაზე დაფუძნებული სამუშაოები, თუ სტუდენტები ამ კურსის ფარგლებში კვლევაზე დაფუძნებულ სამუშაოებს ჩაატარებენ, სითბოგამტარობის კუთხით, ფიზიკის თემების, საველე პრაქტიკების, ცოცხალი ორგანიზმის შესწავლის კუთხით, რომელიც გაწერილია ბლოკში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სპეციფიკიდან გამომდინარე. შესაბამისად, თითოეული კურსის შედეგი შედეგზე გადის, როგორიცაა კვლევის კომპეტენცია.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგია მარიკა კაპანაძის მიერ არის დაფუძნებული, რომელიც წლების განმავლობაში უძღვებოდა პროგრამას ბოხუმისა და ტუშის უნივერსიტეტებში, შესაბამისად, ეს არის საერთაშორისოდ აპრობირებული პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა დაამატა, რომ მას მ. კ-სთან პედაგოგიური კუთხით ჰქონია შეხება და აღნიშნა მისი განსაკუთრებული წვლილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი ძალიან კარგად ხორციელდება, რეკომენდაციაკი ეხება შედეგების ჩამოყალიბებას.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა რა მოლოდინი იყო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, რა რაოდენობის სტუდენტებზეა საუბარი და რეალურ გარემოში იგეგმება თუ არა პრაქტიკები? ასევე, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ კონსულტაციებთან გაცემულ რჩევასთან მიმართებით მათ პოზიციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სკოლებთან, კურსდამთავრებლების დამსაქმებლებთან ურთერთობა არის მათი "ბრენდი", ისინი, როდესაც მოდინ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, პირველივე კურსიდან მიდიან სკოლაში და რა კონკრეტულ თემატიკასაც გადიან უნივერსიტეტში, ახდენენ მის პრაქტიკულ ტრანსფერს და ნელ-ნელა, დამოუკიდებლად ასრულებენ აქტივობებს. მათ ჰყავთ 66-ზე მეტი პარტნიორი სკოლა, მათი თანმშრომლობა რეგულირდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, ყოველი სემესტრის დასაწყისში აქვთ სპეციალური ფორმა გაგზავნილი სკოლაში, სადაც გაწერილია, რომელ საგნებში არის პრაქტიკა და თითოეულ სკოლაში დირექტორი ან დირექტორისგან დელეგირებული ადმინისტრაციის წევრი არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც აწვდის მათ ინფორმაციას რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლიათ სკოლაში. რაც შეეხება სკოლასა და უნივერსიტეტს შორს ურთიერთობას ისინი ყოველ სემესტრულად ატარებენ პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს, ცდილობენ გამოასწორონ სუსტი მხარეები. მაგალითად, წინა წლებში გამოვლინდა სუსტ მხარედ ნაკლები კომუნიკაცია პრაქტიკის ხელმძღვანელსა და კურსის ხელმძღვანელს შორის, მათ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის დოკუმენტში ჩაწერეს, რომ შეხვედრები იქნება რამდენჯერმე, სკოლაში, რაც ლექტორსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება მოლოდინს, ისინი ფიქრობენ, 40-50 სტუდენტის მიღებას, მისი თქმით, არცერთ უნივერსიტეტს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა არ აქვს, არამედ აქვთ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა არა ეს საგანმანათლებლო პროგრამა. რაც შეეხება საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებულ რჩევას, მისი მითითება გამორჩათ სულ ორ სილაბუსში, თუმცა დასკვნაშიც წერია, რომ ისინი იყენებენ ბევრ პლატფორმას, ტრადიციული საკონსულტაციო საათების გარდა.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:43 საათზე
დასრულების დრო: 14:50 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

√ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

ხოლო, არ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები 2.2 და 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით, შესაბამისად მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება
√ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მ უხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

6. მეექვსე საკითხი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 18 მარტი, გადაწყვეტილება N39
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აგრარული ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0192, დ. გურამიშვილის გამზ. N17, მე-11 კორპუსი,
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

საბჭოს წევრი - დიმიტრი გეგენავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის არსებობა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა გეგეშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 13 თებერვალს, ის მნიშვნელოვანი და ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამაა საქართველოში, თუმცა სტანდარტის მოთხოვნებს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. მისი თქმით, როდესაც ის კითხულობდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ან დარგობრივი მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამისკენ მიდიოდნენ, ან საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით. წმინდა ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არის, გამომდინარე აქედან, უმეტესი რეკომენდაციები დაფუძნდა ამ მიმართულებით. ექსპერტის მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამის ადგილი გააზრებული უნდა იქნეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში და უნდა დაიხვეწოს მიზნები, ნათლად ჩამოყალიბდეს, რომ ეს არის ეკონომიკის დოქტორი აგრარული მიმართულებით. რაც შეეხება მიზნებს, ბუნდოვანია და არ იძლევა იმის განცდას, რომ მზადდება ეკონომიკის დოქტორი. აქცენტები უნდა გაკეთდეს არამხოლოდ მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის მიმართულებით, არამედ წარმოდგენილი უნდა იქნას მიკროეკონომიკური ასპექტები ფერმერული მეურნეობის საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად, საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უნდა იყოს მითითებული ეკონომიკური მეცნიერებების შედეგები უფრო კონკრეტულად, გასათვალისწინებელია მე-8 დონის შედეგები. უნდა მოხდეს თემატური სემინარი 1 და თემატური სემინარი 2-თვის სასწავლო გეგმის და სილაბუსის მომზადება, რადგან მოპოვებული მტკიცებულებით ბუნდოვანია, რამდენად შეესაბამება ის დარგის მოთხოვნებს. მან დააკონკრეტა, რომ სემინარი 1 და სემინარი 2 არის სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტის ნაწილი, ასევე არსებობს საუნივერსიტეტო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც აფასებენ სემინარ 1-ს და სემინარ 2-ს. ასევე, ექსპერტის განმარტებით, არ არსებობს ლიტერატურის ჩამონათვალი ამ სემინარის მოსამზადებლად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უნდა დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელიმე თანამედროვე რაოდენობრივი კომპონენტის ინტეგრირებით და პროგრამის სასწავლო კომპონენტს დაემატოს თვისებრივი კვლევის მეთოდები. მისი განმარტებით 60 კრედიტიან სასწავლო პროგრამაში არის 5 კრედიტიანი ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მასში თავმოყრილია ბევრი მეცნიერებისა და კვლევის მეთოდების მიმართულებების მიმოხილვების ნაწილი, კვლევითი მეცნიერების ფილოსოფია, შესანიშნავი სილაბუსია, თუმცა მასთან ერთად საჭიროა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების უფრო სიღრმისეულად შესწავლა. ექსპერტის თქმით, სასურველია, მოხდეს

ეკონომიკისა და ეკონომიკური ანალიზის თეორიებისა და პარადიგმების საკითხების სასწავლო კომპონენტებში შესწავლა, რადგან წარმოდგენილი პროგრამით არ დასტურდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-8 საფეხურის ცოდნის შედეგი, სწავლა ან საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინარულ კონტექტში. ასევე, მისი თქმით, თუ დასაქმების სფერო შესაძლებელია იყოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი: „პროფესორის ასისტირება“. ექსპერტის განმარტებით, უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მოდიფიცირება შემდგომში ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციის მისანიჭებელი საჭირო კომპეტენციების შესაბამისად. გადაიხედოს სასწავლო კურსების კომბინაცია და მასში ინტეგრირდეს ეკონომიკის მეცნიერების თანამედროვე თეორიები და ხედვები, ასევე, ცალკე კურსად იქნეს წარმოდგენილი კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. ექსპერტმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულების სტუდენტის მიღება, რადგან მისი ეკონომიკური ცოდნის საკითხები მიღებისას ბუნდოვანია. სასწავლო კურსების სილაბუსები „საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება“ და „აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა“, არჩევითი სასწავლო კურსებით: „ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა“ და „რეგიონის მდგრადი განვითარება“, შედგენილია კარგად, მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და ლიტერატურა, თუმცა აღნიშნული მიმართულებები უფრო ინტეგრირებული უნდა იყოს თემატურ სემინარებში და არა სასწავლო კურსებში, სადაც სტუდენტმა უნდა დააგროვოსს ეკონომიკის მეცნიერებისა და კვლევის ინტრუმენტების ცოდნა, უნდა მოხდეს დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვა, სასწავლო კომპონენტებში სტუდენტისათვის ანალიზისა და კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბება. ექსპერტის თქმით, 120 კრედიტიანი სადოქტორო ნაშრომის მომზადება უნდა ფასდებოდეს ერთხელ, რადგან კოლოქვიუმ 1-სა და 2-ში მას მინიჭებული აქვს 30-30 კრედიტი, ხოლო სადოქტორო ნაშრომს 60 კრედიტი, რის საფუძველზეც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება, მისი თქმით, უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ეფექტიანი მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად, მოახდინოს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება უცხოელი პროფესორების დროებით მოწვევით, გაზარდოს მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რაც მთლიანობაში უზრუნველყობს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრაობასა და განვითარებას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტმა და შესაბამისად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები აგრარული ეკონომიკის მიმართულებით. ასევე, ექსპერტის თქმით, საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამაზე ახალგაზრდა კადრების ჩართვა, რაც მას უფრო მდგრადს გახდის. რაც შეეხება ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმს,ექსპერტის განმარტებით, მექანიზმები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის კვალიფიკაციის აღმწერისა და შესაბამისი კოდის მინიჭებით, რომლის შესაბამისადშეთავაზებული საგნებით ხდება რელევანტურობის დადგენა. გარდა ამისა, შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე ჩატარებულია გამოკითხვები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, პერსონალთან, თუმცა კითხვები არის ზოგადი და ბუნდოვანი, რომელიც სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. კონკრეტულად პროგრამის მიმართულებით უნდა მოხდეს გამოკითხვის ჩატარება, რომლის ანალიზის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში. სასურველია მოხდეს, პერიოდული შეფასება და მისი შესაბამისად მოდიფიცირება. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დროს უნდა დადგინდეს საერთაშორისო “ბენჩმარკერული” მიდგომები, საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის

მოდიფიცირება. ექსპერტის თქმით, გარე შეფასებები საგანმანათლებლო საგანზე გაკეთებულია, თუმცა ძირითადად ქართველი მეცნირების მიმართ, არის დადებითი დასკვნები, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზე არ არის საუბარი.

დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა ინაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა გადის რეაკრედიტაციას, პირველი აკრედიტაცია პროგრამას 2015 წელს მიენიჭა და იმ პერიოდში გაცემული რეკომენდაციები ამ ეტაპზე გათვალისწინებული და ასახულია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების ჩარჩოსა და კვალიფიკაციის აღმწერს შეესაბამება და დადგენილი წესით გადავლენ 69/ნ ბრძანებაზე. მან აღნიშნა, რომ ეკონომიკის კვალიფიკაცია შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიას, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას, საგანმანათლებლო პროგრამის საგანთა ნუსხა კი შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიასა და გადაწყვეტილებების მიღებას და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-8 დონეს. მან გამოყო სწავლის რამდენიმე შედეგი: დამოუკიდებლად ამზადებს რეკომენდაციებს სასურსათო უსაფრთხოების სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტილებების კუთხით, აკეთებს კრიტიკულ ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ახალ მიდგომებს, აანალიზებს სამეცნიერო საქმიანობის რთულ იდეებსა და მიდგომებს, ახდენს ახალი მეთოდოლოგიის, ახალი ცოდნის დასაბუთებულად წარმოდგენას. დაწესებულბას არგუმენტირებულ პასუხში ჰქონდა გაწერილი, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს აღმწერში მითითებულს, სადაც წერია, რომ აგრარული ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია აგრარული ეკონომიკის დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის ამ ნაწილშივე ჩანს რომ ის ამზადებს ეკონომიკის დარგის მკვლევარს, რაც აკმაყოფილებს როგორც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნას და მე-8 დონეს. შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ პირველი სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან. სილაბუსების ჩართვასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ არის რეგულირებადი, ის შემუშავებულია დარგის სპეციალისტების მიერ, აქვთ 12 გარე შემფასებელის დასკვნა, სადაც ჩართულები იყვნენ სოფლის მეურნეობის აკადემია, მეცნიერებათა აკადემია, დარგის სხვადასხვა სპეციალისტები, დამსაქმებლები, ყველა მათგანის დასკვნა დადებითია. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა გადის რეაკრედიტაციას, რომელმაც გაითვალისწინა წინა რეკომენდაციები. რაც შეეხება დასაქმების სფეროს, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტის საგანი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ პედაგოგიური უნარების განვითარებას, სადაც შესულია სიმულაციური ლექციები, შესაბამისად დოქტორანტი ამ უნარებს გამოიმუშავებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მე-3 სტანდარტი, კერძოდ, 3.2 ქვესტანდარტი, ექსპერტების მიერ შეფასდა სრულად შესაბამისად, ისინი გაეცნენ სადოქტორო ნაშრომებს, გაესაუბრნენ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებს და დასკვნაში აღნიშნეს, რომ დოქტორანტებს აქვთ საშუალება ჰყავდეთ თანახელმძღვანელები, ჰქონდეთ დარგის ვიწრო სპეციალისტებთან ურთიერთობა, რაც დოქტორანტს დაეხმარება საკითხის ღრმად და ფუნდამენტურად შესწავლაში, გაიგეს, როგორ მტკიცდება სადოქტორო ნაშრომი, გაეცნენ პლაგიატის პროცედურას, ექსპერტების თქმით, ნაშრომი ფასდება საინტერესოდ, მისი თქმით ამ შეფასების შემდეგ და როდესაც არ აქვთ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შეუსაბამოა ექსპერტთა შეფასება. თემატურ სემინართან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თემატური სემინარების შეფასება არის დეტალურად გაწერილი სადოქტორო დებულებაში, კონკრეტულად თემატიკას ისინი ვერ გაწერენ, იმიტომ, რომ სადოქტორო თემას სტუდენტი იღებს პირველი სემესტრის შემდეგ, მას უმტკიცდება ხელმძღვანელი და თემა, შესაბამისად, თემატური სემინარი მიბმულია უშუალოდ მის საკვლევ თემასთან, გამომდინარე აქედან,

ლიტერატურა დოქტორანტმა თვითონ უნდა მოიძიოს, მოხდეს თემატური სემინარის გაშლა და გაფორმება იმ რეგულაციების მიხედვით რაც უნივერსიტეტს აქვს. რაც შეეხება მე-3 ბრძანების დარღვევას მან ამოიკითხა ბრძანების მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, რასაც ექსპერტების აზრით ისინი არ აკმაყოფილებენ, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაზე 120 კრედიტი განსაზღვრულია კვლევისთვის, მე-3 ბრძანების მე-17 პუნქტის მიხედვით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის/ კომპონენტების შეფასების სისტემა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სადოქტორო ნაშრომი უნდა იყოს 120 კრედიტიანი. საგანმანათლებლო პროგრამაში არის 60 კრედიტიანი სადოქტორო ნაშრომი და როგორც მე-3 ბრძანება იძლევა საშუალებას, სამეცნიერო კვლევა შედგება კომპონენტებისაგან: 2 კოლოქვიუმი და 1 სადოქტორო ნაშრომი. მისი თქმით, ამავე ბრძანების მე -4 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით დისერტაცია, სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად, რასაც ისინი ასრულებენ, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევითი კომპონენტები: დისერტაცია და კოლოქვიუმი ფასდება ერთჯერადად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მინისტრის მე-3 ბრძანებაში არ წერია, რომ მაინც და მაინც დისერტაცია უნდა იყოს 120 კრედიტი, ბრძანებაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს სასწავლო კომპონენტი არაუმეტეს 60 კრედიტისა, დანარჩენი 120 კრედიტი კი კვლევითი კომპონენტებია. რაც შეეხება მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდას, მისი თქმით, მოწვეული პერსონალის და აფილირებული პერსონალის თანაფარდობაში იგულისხმება ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოწვეულ პერსონალზე აწყობილი არ უნდა იყოს, ისინი იწვევენ პერსონალს, თუმცა როგორც ექსპერტთა დასკვნაშიც არის აღნიშნული სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ თანახელმძღვანელი, რისი პრაქტიკაც არსებობს, ტექნიკური ბაზა იძლევა იმის საშუალებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყოს მდგრადი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს ფაკულტეტი აკადემიური პერსონალით უძლიერესია ტექნიკურ უნივერსიტეტში. შემდეგ რეკომენდაციასთან, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ერთ-ერთ პროგრამას დაემატა ფრანგული უნივერსიტეტის მოდული, ასევე ყოველთვის ტარდება ღია კარის დღეები, ღია ლექციები, ექსპერტები დასკვნაში თვითონვე აღნიშნავენ, რომ დაწესებულების კადრები კვალიფიციურნი არიან, უნივერსიტეტს ასევე აქვს საერთაშორისო თანამშრომლობა. ხარისხის შეფასების მექანიზმებს რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტს ხარისხის შეფასების მექანიზმი ძალიან კარგად აქვს გაწერილი, როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული იყო 10 საერთაშორისო პროგრამა და მასთან შეფასება. პროგრამამ სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვების საფუძველზე განიცადა 3 მოდიფიცირება, ლიტერატურის განახლება, საგნების ცვლილება, რომელიც ოქმების სახით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მონიტორინგს, თვითშეფასების დოკუმენტს თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის დანართი. ასევე, მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური კვლევის მეთოდები, სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, სოფლის განვითარების პოლიტიკა, ყველა ეს საგანი კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით შეისწავლის ეკონომიკის პოლიტიკას, თეორიას და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას, დანარჩენი კი არის კვლევის, 120 კრედიტში სასწავლი და განსავითარებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ მისი აზრით, მათივე გაზრდილ ახალგაზრდა კადრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გააგრძელონ მოღვაწეობა, ასევე, მოხდეს ახალგაზრდა კადრების მოძიება. ფაკულტეტზე 2018 წლიდან მოქმედებს დოქტორანტების ხელშეწყობის პროგრამა, რომლითაც მინიმუმ 10-მა დოქტორანტმა ისარგებლა, სადაც დოქტორანტებს სწავლის გადასახადს უნახევრებენ ან საერთოდ უხსნიან გადასახადს, აძლევენ საათებს, რომელიც ანაზღაურებადია, ხელს უწყობენ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში და ჰქონდეთ საერთაშორისო პუბლიკაციები, შესაბამისად ისინი სტანდარტის ამ მოთხოვნას ასრულებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა პაატა კოღუაშვილმა აღნიშნა, რომ ის 63 წლისაა, მთელი ცხოვრებაა მუშაობს სოფლის მეურნეობის სფეროში, 25 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, 4 წელი მუშაობდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და მისთვის გასაკვირია, რომ ექსპერტმა ეჭვი შეიტანა, რომ სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკა - მიწის მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა ეკონომიკას განეკუთვნება. მისი განმარტებით, სოფლის მეორნეობა სამ ვეშაპზე დგას: მიწა, წყალი, სამეცნიეო ტექნიკური პროგრესი. დღევანდელმა მდგომარეობამ დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების საჭიროება, ეროვნულმა სახელმწიფომ უპირველეს ყოვლისა უნდა იფიქრონ საკუთარი რესურსებით აგრარული წარმოების განვითარებაზე, კომერციულ სოფლის მეურნეობას არ აქვს ის პერსპექტივა, რომ აწარმოოს და გამოკვებოს 10-12 მილიონიანი მოსახლეობა. მისი აზრით, გადასახედია შიდა სტრუქტურა, ამიტომ მან მიწერა ღია წერილი საქართველოს პრემიერ მინისტრს, დღე დღეზე კი ელოდება შეხვედრას. მისი განმარტებით, ოპერირების გარეშე ამ სფეროს ვერ განავითარებენ, მიწა ეკონომიკაა თავიდან ბოლომდე, სასურსათო უსაფრთხოება არის ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება, რომელშიც სახელმწიფო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მან თავად დაიცვა სადოქტორო ნაშრომი სწორედ ამ თემაზე, საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, არავის შეპარვია ეჭვი, რომ ეს არ არის ეკონომიკური დისციპლინა, სამეცნიერო ხარისხი მან სწორედ აგრარულ ეკონომიკაში მიიღო. მისი თქმით, მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა აგრარული რეფორმის სტრატეგიაში, შედეგებსა, და სისტემებში, სადაც არავის შეპარვია ეჭვი, რომ ის იყო ეკონომიკის დისციპლინა და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა ხარისხი აგრარული მიმართულებით, მაკროეკონომიკის განხრით. რაც შეეხება მე-3 დისციპლინას, სოფლის განვითარების პოლიტიკას, ევროკავშირმა მიიღო 2014 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების დადგენილება, უზარმაზარი დოკუმენტი, რომელიც მან ქართულად თარგმნა და რასაც დაემატა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, წერილების ციკლი. სოფლის მთავარი ამოცანაა სოც-კულტურული და ეკონომიკური სტატუსის გათანაბრება ურბანულ სტატუსთან, აგრარული პოლიტიკის ამოცანაა სასურსათო უსაფრთხოებისა და მიწასთან ურთიერთობის გარდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილებისა და მისი შრომის სტიმულირების პოლიტიკა საზოგადოების გამოსაკვებად. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ის საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას მოახდენს, როდესაც ნახავს მსოფლიოში ცვლილებას, ბოლო მოდიფიცირების შედეგად საგნები დაემატა სტუდენტებისა და ექსპერტების მოთხოვნიდან გამომდინარე, ცალსახად დაინახეს, რომ მომავალი აქვს მსხვილ კოოპერაციულ გაერთიანებებს, დიდ აგრარულ კლასტერებს. შესაბამისად არჩევით კომპონენტში დაამატეს: ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა. ასევე მნიშვნელოვანია რეგიონის მზარდი განვითარება, ჩვენ გვაქვს საქართველოს მთიანეთი 53%, რეპრესიული ზონები. თუ ვნახავთ სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციას ევროპაში, მივხვდებით, რომ ჩვენ დამატებითი კონცეფციის შექმნა მოგვიწევს. მისი თქმით, ექსპერტთა პანელის წევრმა, რომელიც დაწესებულებაში იგზავნება, არამხოლოდ ბუღალტერია უნდა იცოდეს, არამედ მან უნდა იცოდეს ეს სპეციფიკური სფეროც, რომელსაც 11 განსხვავებული ნიშან-თვისება აქვს. მან გაიხსენა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: რამ გადგვარჩინა, იმ დროის ცოდნაზე დაფუძნებული ცოდნა ვიცოდით, ჩვენ ყოველთვის ინოვაციებს ვეუფლეობით, რომელმაც მოგვიყვანა დღემდე. ის შეეცადა დამსაქმებლებთან და ექსპერტებთან ერთად სწორედ ასეთი საგანმანათლებლო პროგრამა შეემუშავებინა, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიიდან ამოიღეს სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც 2015-2020 წლების სტრატეგიაში იყო, ახლა კი ისევ ცდილობენ მის ჩასმას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მისი დამსახურებაა მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული ეროვნული სააგენტოს შექმნა, სადაც მათ დაიწყეს ბალანსის წარმოება, მიწების აღრიცხვა, მიწების კატეგორიების დადგენა. მან აღნიშნა, რომ ჰყავთ 2 სტუდენტი: ინფორმატიკოსი და იურისტი, ნინო შენგელია, რომელიც 8 წელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანალიზის სამმართველოს უფროსია და პაატა ჭიპაშვილი, რომელიც რესპუბლიკის საჯარო რეესტრის მიწის აღრიცხვის განყოფლობის

უფროსია. მისთვის გაუგებარია ექსპერტების რეკომენდაცია, რა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების შემოტანას ითხოვდნენ ისინი ცალკე საგნად. მისი თქმით, დოქტორანტურაში დღეს უკვე თავიდან ბოლომდე სამეცნიერო მუშაობა მიდის. მან დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს შეკრებისათვის, მან ურჩია ექსპერტებს ნახონ მისი სატელევიზიო გამოსვლა, წერილი პრემიერ მინისტრთან, მას 2014 წელს მიენიჭა წლის საუკეთესო მეცნიერის სტატუსი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა სახელმძღვანელოსთვის: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრარული საწარმოს ეკონომიკა. მისი განმარტებით ისინი ბაკალავრიატში ასწავლიან ავთანდილ სილაგაძის ეკონომიკურ დოქტრინებს, თუ სტანდარტი არ პასუხობს ამას, მაშინ სტანდარტშია ცვლილებები შესატანი. მან დისერტაციებთან დაკავშირებით ახსენა, მათი დოქტორანტების მიერ დაცული ნაშრომები და თქვა, რომ დოქტორანტურა არის კვლევა და მეცნიერება, ასევე, დაამატა, რომ მას ყველა უმაღლესი წოდება აქვს მიღებული აგრარული ეკონომიკის სფეროში.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, რომ შეიძლება საერთოდ არ იყოს სასწავლო კომპონენტები და სრულად კვლევაზე იყოს ის დაფუძნებული, თუმცა საუბარია სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც სილაბუსი უნდა იყოს სამეცნიერო კვლევისკენ მიმავალი, რაც გარკვეულ სილაბუსებში მას დააკლდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სილაბუსებში არის ქეისები, ანოტაციები, ესსეები, კვლევები, ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ის თავად იყო აიოვას (university of iowa) სტენფორტის (university of stanford), მინისოტას (university of minnesota) უნივერსიტეტში, 4-4 თვე, საიდანაც გამოითხოვა ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა გააგრძელა საუბარი კვლევით მეთოდოლოგაზე, რომ სამეცნიერო ხარისხთან ერთად მთავარია ჩამოაყალიბონ მკვლევარი, კვლევითი მეთოდოლოგია შეიძლება არ იყოს რაოდენობრივი ან თვისებრივი, არამედ, მთავარი აზრი აგროეკონომიკისა, არის ეკონომეტრია, რაც მას დააკლდა საგანმანათლებლო პროგრამაში.

საბჭოს წევრი ირმა წერეთელი დაინტერესდა თუ რატომ იყო მხოლოდ 3 დაცვა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული იყო 16 დოქტორანტი.

პაატა კოღუაშვილმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ პირველ წელიწადს ჩაირიცხა 3 დოქტორანტი, ერთი არ გამოცხადდა ხოლო 2-მა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია. შემდეგ ჩაირიცხა 3, მათ შორის ხ. მ-ე, რომელსაც აერია სასურსათო უსაფრთხოება სურსათის უვნებლობაში და ის გადავიდა სასურსათო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მესამე დოქტორანტი გარდაიცვალა, ასევე, გარდაიცვალა კიდევ ერთი დოქტორანტი, ერთმა მათგანმა საერთოდ დაანება სწავლას თავი ხოლო ი. მ-ემ წარმოადგინა დიპლომი, რომ ჰქონდა დამთავრებული ერთ-ერთი უნივერსიტეტის სომხეთის ფილიალი მენეჯმენტის სპეციალობით, ცენტრმა შეიტანა მის წინააღმდეგ სარჩელი, თუმცა სასამართლო დასრულდა ამ გოგონას გამარჯვებით და დიპლომის აღიარებით.

გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ დანარჩენი დოქტორანტები არიან მე-2 - მე-3 კურსებზე, წელს კი ჩაირიცხა 5 სტუდენტი.

პაატა კოღუაშვილმა განმარტა, რომ ამჟამად სწავლობს 4 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როდესაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეა საუბარი იქ ჩაშლილი და ინტეგრირებული უნდა იყოს კვლევა და არა საგნები, კვლევის შედეგი კი უნდა იყოს დისერტაცია. ის დაინტერესდა თუ გაეცნენ ექსპერტები ნაშრომებს და რა დონის იყო ისინი? ასევე, ის დაინტერესდა რამდენად აქტუალურია ჩარიცხული 5 დოქტორანტის თემები, თუ იყო აუცილებელი დისერტაციის დაცვამდე სტატიის გამოქვეყნება, სასემინარო ნაშრომის გამოქვეყნება და ა. შ.

ექსპერტმა თამარ სანიკიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ის იცნობს ერთ-ერთ დისერტანტს, რომელსაც აქვს ექსტენციის თემა, რომელიც საბოლოოდ გადის ფერმერების ეკონომიკური ზრდის განვითარების ხელშეწყობაზე, ანუ მეტად ეფექტური იყოს მიწოდებული ცოდნა, რაც შესაძლებელს ხდის ფერმერმა გაზარდოს შემოსავლები. ექსტენციის თემა 2013 წლიდან საქართველოში დაინერგა, რომელიც ახალია, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ

მეცნიერულ ჭრილში განიხილა ეს სერვისი ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მათ ჰქონდათ უშუალო კომუნიკაცია გ. ბ-სთან, რომლის გამოცდილების შესახებაც ექსპერტისთვის კარგადაა ცნობილი, ის წლების განმავლობაში აგროსერვისის ხელმძღვანელია და ამ მიმართულებით საკმაოდ საინტერესო დისერტაცია ჰქონდა, ქვეყანაში არსებული 9 რეგიონალური და 54 ფერმერთა საინფორმაციო მომსახურების კადრებისთვის საინტერესო ინფორმაციაა, თუ როგორ გაზარდონ ეკონომიკური ეფექტიანობა სერვისების განვითარების სფეროში. რაც შეეხება სტუდენტებს, მაგალითად, გ. ბ-ე არის იურისტი, მას გაუჩნდა პროტესტი, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე უნდა იყოს დაშვების წინაპირობა, რაც არგუმენტირებულ პასუხში გაითვალისწინეს, დისერტაციის თემა აქტუალურია, სასურველია გვყავდეს ისეთი ანალიტიკოსები, რომლებიც სწორად განსაზღვრავენ, თუ როგორ შეიძლება ვიყოთ სასურსათო უსაფრთხოების კუთხით დაცულები, სტუდენტების უმეტესობა სოფლის მეურნეობაში არიან კომპეტენტურები, სასურველია, ეკონომიკურ ჭრილშიც შეეძლოთ ანალიზისა და კვლევების ჩატარება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ დაცული იყო 3 თემა, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი იყო შრომატევადი, შეფასებისას ისინი ეყრდობოდნენ სტანდარტებს, ყველას ხარისხის შემოწმება ძალიან გაუჭირდებოდათ, თუმცა სტუდენტები იყვნენ კომპეტენტურები, ისინი თვითონვე წერენ ნაშრომს და საგანმანათლებლო პროგრამა ნაკლებად აძლევს ამ უნარებს. სტანდარტების შეფასება გამომდინარეობდა ახალი და ძველი სტანდარტების შესაბამისად, იმ ტრენინგების საფუძველზე, რაც აქვთ ცენტრში გავლილი. თუ ძველ სტანდარტში ეკონომიკური პოლიტიკა არის მიღებული, ახალ სტანდარტში წმინდა ეკონომიკა დარჩა, პროგრამულად სამივე დისერტაცია: ინტენსიური მებაღეობის როლი სოფლის დასაქმებისა და მოსახლეობის შემოსავლის ზრდაში, წარმოების პრობლემა საქართველოს სოფლის მეურნეობაში და აგრო დაკრედიტების სისტემის როლი მის გადაწყვეტაში, საინფორმაციო - საკუნსულტაციო მომსახურების მნიშვნელობა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა სოფლის განვითარების მაგალითზე, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციებს, თუმცა ის ვერ დადებს დასკვნას, დისერტაციაში ეკონომეტრული ანალიზი რამდენად იყო გათვალისწინებული, ასევე, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მოდულები - ამის მტკიცებულებები მან ვერ მოიპოვა. ექსპერტის თქმით, ჯობს საბჭოს წევრებმა გადაწყვიტონ უნდა იცოდეს თუ არა სტუდენტმა ამ საკითხების, თეორიების შესახებ, ეკონომიტრიის მეთოდები, ხელმძღვნელი პაატა კოღუაშვილი კი ნამდვილად განათლებული ადამიანია.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციების ნაწილი ეხება საგანმანათლებლო პროგრამის მე-8 დონესთან შესაბამისობას, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამა 120/ნ არის წარმოდგენილი, მან სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ სწავლის შედეგები არის თუ არა 120/ნ ბრძანების შესაბამისი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ჩაშლილია, თუმცა 120/ნ ბრძანებით ეკონომიკა არის მაღლა წამოწეული, მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის დოქტორის საკითხს ვერ განსაზღვრავს, თუ გავითვალისწინებთ უცხოურ „ბენჩმარკებს", რომელიც დაწესებლების წარმომადგენლებს ჰქონდათ ექსელის ფაილით წარმოდგენილი, სადაც ძალიან დიდი ოდენობით არის ეკონომიკის როლი, დაგეგმვის როლი მიკროეკონომიკის დონეზე, მან მოიყვანა შედარება, რომ მაკროეკონომიკა არის მეცნიერება ტყეების შესახებ, ხოლო მიკრო - ხეების შესახებ. სტუდენტი ტყეებს სწავლობს ისე, რომ ხეებს რა სჭირს არ იცის. ასევე, ექსპერტის თქმით, 120/ნ ბრძანებასთანაც არის კითხვის ნიშნები, რადგან სასწავლო კომპონენტი პროპლემურია, 60 კრედიტში 25 კრედიტი არის კვლევითი კომპონენტი, რაც თვითონვე აღნიშნეს, შესაბამისად, 145 კრედიტი არის კვლევითი კომპონენტი, ის შეიძლება იყოს თემისგან განსხვავებული საკითხი, რომელმაც უნდა მისცეს სტუდენტს ახალი ცოდნა, რაც დებულებით არის განსაზღვრული, რაც მოიცავს უამრავ საუნივერსიტეტო რეგულაციას, შეფასების სისტემებს, დანართები კარგი ადმინისტრირებით არის გაკეთებული, თუმცა მან რა პრობლემებიც დაინახა მეცნიერებასთან მიმართებაში წარმოადგინა საბჭოს წინაშე. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭომ თავად უნდა გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პროგრამა დარგობრივ მენეჯმენტს უფრო შეესაბამება თუ არა,

თვითონ ეკონომიკის მეცნიერებამ, რომელმაც 21-ე საუკუნეში ახალი ტალღა განიცადა და უამრავი ნაშრომი გამოდის, რომელიც ენდოგენური ზრდის მოდელებზეა. მან დასვა შეკითხვა უნდა იცოდეს თუ არა თანამედროვე მეცნიერმა ეს მოდელები? მან ყურადღება გაამახვილა ინოვაციების კომერციალიზაციის ცოდნის ეფექტებსა და კრიტერიუმებზე, დიდი პროგნოზის მოდელებზე, სოკასტიკურ მოდელებზე, გავლენებზე, რყევებზე, საგანმანათლებლო პროგრამაში მიკროეკონომიკა თუ არ იქნა წარმოდგენილი მხოლოდ მაკრო პრობლემების გადაჭრა პოლიტიკის დონეზე ვერ იქნება ეფექტიანი, ამაზე დოქტორანტს რაღაც წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა ლიტერატურის სასწავლო კურსის ფარგლებში თუ ხდებოდა თანამედროვე კვლევების, სტატიების და მოდელების განხილვა?

პაატა კოღუაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მისი ასაკისა ის მუდმივად კითხულობს სიახლეებს და სტუდენტებთან აქვს დამატებითი სემინარები, სადაც ამ საკითხებს განიხილავს. ასევე, მან ვიზიტისას ექსპერტებს აუხსნა, რომ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, აგრარული საწარმოს ეკონომიკა, რომელიც მიკროეკონომიკაა მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამაში არ არის, ის დოქტორანტებს ასწავლის და ამეცადინებს, ყველას გადაუგზავნა წიგნის ელექტრონული ვერსიები და დოქტორანტები ვალდებულები არიან დაამუშაონ თემები, ექსპერტის ნათქვამი კი უფრო ეკონომიკური თეორიაა, რაც აგრარული ეკონომიკის სპეციალისტს ამ დონეზე არ მოეთხოვება. ეკონომიკის კოდია 08, აგრარული ეკონომიკა 0812, ეკონომიკა პირველია, შემდეგ აგრარული ეკონომიკა. 2005 წლიდან 2011 წლამდე ის იყო თსუ-ს პროფესორი და ასწავლიდა ეკონომიკურ თეორიას, მაკროეკონომიკას, ამ საგანმანათლებლო პროგრამაში კი ასწავლის სოფლის მეურნეობის და აგრარული საწარმოს ეკონომიკას, ამდენად, ისინი ასწავლიან ეკონომიკურ დოქტრინას. რაც შეეხება ნაშრომებს, დოქტორანტები აქვეყნებენ მათ. ვიზიტისას მან ექსპერტებსაც გააცნო ნაშრომების 2 კრებული, დაახლოებით, 7–9 ნაშრომი. დისერტაციის დაცვამდე ეცნობიან სიახლეებს, რადგან სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ ის ვერ შეეკითხებოდა სტუდენტებს სადამ ფიშერის თეორიები რამდენად იცოდნენ, თუმცა გამოყენებულ ლიტერატურაში ეკონომიკური სახის საერთაშორისო ედვანს დონის ლიტერატურა არ იყო მითითებული, არამედ, მხოლოდ ადგილობრივი.

პაატა კოღუაშვილის თქმით თანამედროვე მიღწევები რაც კი არსებობს, აგრარულ ეკონომიკაში მითითებულია დისერტაციებში, ხოლო რაც ექსპერტმა ჩამოთვალა აგროეკონომისტებს არ სჭირდებათ. მან აღნიშნა, რომ ის სათავეებში იდგა, როდესაც კეთდებოდა სააგენტო, სადაც 250 ექსპერტი დამტკიცდა და მხოლოდ 50 დატოვეს.

ექსპერტმა თამარ სანიკიძემ დაამატა, რომ დოქტორანტების დანარჩენი 2 თემიდან ერთი შეეხებოდა ინტენსიური მებაღეობის თემას. დოქტორანტი არის შიდა ქართლის ექსტენციის სამსახურის სამმართველოს უფროსი, აგრარული დარგი აქვს დამთავრებული, შესაბამისად, რა სფეროშიც მუშაობს იმის მიხედვით სწორად აქვს აღებული თემა, ხოლო მე-2 სადისერტაციო თემის ავტორი, რომელიც ეხებოდა დაკრედიტების თემას, არის ფინანსისტი ანუ ექსპერტის თქმით, თემები ეფექტიანად არის აღებული და გამოცდილება გამოყენებული, მათ შინაარსობრივად ესმოდათ თუ რა თემაზე მუშაობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ თუ თემები არის არჩეული კარგად, დოქტორანტები არიან პროფესიონალები იმაში, რაშიც ისინი დისერტაციას წერენ და არაფორმალურად ხდება თანამედროვე მიღწევების განხილვა, ამ ყველაფერს აკლია ფორმალიზება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას დააკლდა მკაცრად განსაზღვრული დაშვების წინაპირობა, რაც ვიზიტზეც აღნიშნა, შესაბამისად, თქვა, რომ სასურველია ვისაც არ ჰქონდა აგრარული და ეკონომიკის “ბექგრაუნდი”, შეეთავაზებინათ სასწავლო კურსი სასოფლო სამეურნეო ეკონომიკა, რაც გაითვალისწინეს.

ირმა ინაშვილმა დასძინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შიდა გამოცდები, ტესტები, რომლითაც აპლიკანტი ადასტურებს იმ დონეს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად, აღნიშნული რჩევა კი ექსპერტებისგან მისაღებია.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ფაქტობრივ მოცემულობას სჭირდება იურიდიული ფორმალიზება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მან უნდა გაიაროს სპეციალობის ტესტები, რომ მომავალში შეძლონ საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევა.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა თქვა, რომ აგრარული ეკონომიკა არის გამოყენებითი ეკონომიკის პიკი, აგრარული ეკონომისტები უფრო მეტად მათემატიკოსები არიან ხოლმე, ის დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თუ იყო რაიმე პროგრამული ენა და ასწავლიან თუ არა ფორმალიზებულად ან არაფორმალიზებულად მას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დოქტორანტმა თვითონ უნდა შექმნას პითონი, თვითონ უნდა შეიმუშაოს მათემატიკური დამოკიდებულება, რომლითაც აღწერს პროცესს და რომელიც გამოყენებული იქნება ამა თუ იმ პროგრამაში, ისინი არ უშვებენ პროგრამისტს, რომ მათემატიკური ენით აღწეროს პროცესი, ამ დარგის სპეციალისტის პრეროგატივა ეს არ არის, საგანმანაათლებლო პროგრამაში მან უნდა მიიღოს ემპირიული და თეორიული დამოკიდებულება.
პაატა კოღუაშვილმა დაამატა, რომ სადისერტაციო თემის სათაურები მისი შერჩეულია, ის დეპარტამენტს გადასცემს 40-მდე თემას და მომავალი დოქტორანტები ირჩევენ ამ თემებიდან.

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:29 საათზე
დასრულების დრო: 17:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამისათვის 1 წლით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
√ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
ა) გააზრებულ იქნას პროგრამის ადგილი საკვალიფიკაციო ჩარჩოში და ნათლად ჩამოყალიბდეს და დაიხვეწოს პროგრამის მიზნები რათა იძლეოდეს იმის განცდას, რომ მზადდება ეკონომიკის დოქტორი აგრარული მიმართულებით;
ბ) განხორციელდეს შედეგების უფრო კონკრეტიზაცია აგრარული ეკონომიკის დარგის შესაბამისად, სადაც აქცენტები გაკეთდება, არა მხოლოდ მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის მიმართულებით, არამედ წარმოდგენილი იქნება მისი მიკროეკონომიკური ასპექტები, ფერმერული მეურენობის საჭიროების და გამოწვევების შესაბამისად;
გ) საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად მიეთითოს ეკონომიკის მეცნიერების შედეგები უფრო კონკრეტულად. ასევე გასათვალისწინებელია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე დონის შედეგები;
დ) მოხდეს თემატური სემინარისთვის - 1, და თემატური სემინარისთვის -2, სასწავლო გეგმის ან სილაბუსის მომზადება, რადგან მოპოვებული მტკიცებულებებით ბუნდოვანია, რამდენად შეესაბამება ის დარგის მოთხოვნებს;
ე) პროგრამას სასწავლო კომპონენტში უნდა დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები რომელიმე თანამედროვე რაოდენობრივი კვლევით “სოფთის’ კომპონენტის ინტეგრირებით;
ვ) მოხდეს ეკონომიკის და ეკონომიკური ანალიზის თეორიების და პარადიგმების საკითხების სასწავლო კომპონენტში შესწავლა, რადგან წარმოდგენილი პროგრამით არ დასტურდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეერვე საფეხურის ცოდნის შედეგი: სწავლის ან/და

საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
ზ) თუ დასაქმების სფერო შესაძლებელია იყოს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები“ მაშინ პროგრამას არჩევითი სახით უნდა დაემატოს პროფესორის ასისტენტობა;
თ) განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მოდიფიცირება, შემდგომში ეკონომიკის დოქტორის კვალფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კომპეტენციების შესაბამისად. გადაიხედოს სასწავლო კურსების კომბინაცია, მასში ინტეგრირდეს „ეკონომიკის“ მეცნიერების თანამედროვე თეორიები და ხედვები, ამასთანავე ცალკე კურსად წარმოდგენილი იქნას კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები;
ი) სასწავლო კურსების სილაბუსები: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, მიწის მმართველობა და სოფლის განვითარების პოლიტიკა, ამასთანავე არჩევითი სასწავლო კურსები ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა და რეგიონის მდგარდი განვითარება, შედგენილია კარგად, მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და ლიტერატურა. თუმცა აღნიშნული მიმართულებები უფრო ინტეგრირებული უნდა იყოს თემატურ სემინარებში და არა თავად სასწავლო კურსებში, სადაც სტუდენტებმა უნდა დააგროვონ ეკონომიკის მეცნიერების და კვლევის ინსტრუმენტების ცოდნა;
კ) განხორციელდეს დოქტორანტების კვლევით პროექტებში უფრო მეტად ჩართვა;
ლ) სასწავლო კურსებში მოხდეს სტუდენტისთვის ანალიზის და კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბება;
მ) სპეციალობის სასწავლო კურსებისთვის „თემატური სემინარი 1“ და „თემატური სემინარი 2“ სილაბუსები, მომზადდეს სილაბუსები. მოხდეს კვლევითი კომპონენტის ერთჯერადად შეფასება, მხოლოდ დაცვისას და მას უნდა მიენიჭოს 120 კრედიტი, რადგან პროგრამაში კოლოქვიუმ 1-ს და კოლოქვიუმ 2-ს მინიჭებული აქვს 30-30 კრედიტი, ხოლო სადოქტორო ნაშრომს 60 კრედიტი. პ) უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმის შექმნა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების უფრო მეტად მოსაზიდად;
ნ) სპეციალობის შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება უცხოელი პროფესორების დროებითი მოწვევით;
ო) უზრუნველყოფილი იყოს მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას;
პ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტმა და შესაბამისად დაწესებულებამ შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აგროეკონომიკის მიმართულებით. ასევე საჭროა პროგრამაში ახალგაზრდა კადრების ჩართვაც, რაც პროგრამას უფრო მდგარდს გახდის;
ჟ) ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმებით განისაზღვროს პროგრამის მიზნის, კვალიფიკაციის აღმწერის შესაბამისად კოდის მინიჭება, ან კოდის საფუძველზე შეთავაზებული კურსების რელევანტურების დადგენა;
რ) შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე ჩატარებულია გამოკითხვები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პერსონალი), თუმცა კითხვარები ზოგადია და ზედაპირული, რაც სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. დაინტერესებული მხარეების კვლევა უფრო მეტად კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში უნდა მოხდეს და მისი ანალიზის შედეგად უნდა განხორციელდეს ცვლილებები პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში;
ს) განხორციელდეს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად პროგრამის პერიოდული შეფასება და მისი შესაბამისად მოდიფიცირება;
ტ) პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების დროს უნდა დადგინდეს საერთაშირისო „ბენჩმარკინგული” მიდგომები, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შესაბამისად მოხდეს პროგრამის მოდიფიცირება.

რჩევები

ა) რადგან დარგში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საქართველოში რისკის შეფასება ანალიზი და პროგნოზირებაა, სასურველია პროგრამაში ეს საკითხები იყოს წარმოდგენილი;
ბ) კარგი იქნება თუ პროგრამაში გათვალისწინებული იქნება კვლევითი პროექტის მომზადების და მართვის კურსი;
გ) გაძლიერდეს კვლევითი მეთოდების სასწავლო კურსები პროგრამაში, რაც საკონსულტაციო მომსახურების ეფექტურობას გაზრდის;
დ) სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამას დაემატოს დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები ეკონომიკის მიმართულებით;
ე) სასურველია „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით;
ვ) ხარისხის გარე შეფასების დროს, რეცენზიების ნაცვლად გამოყენებული იქნას პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის რელევანტურობის დადგენა საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება
  აკრედიტაციის შესახებ
√ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მ უხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მ უხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 28^8მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით.

7. მეშვიდე საკითხი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მიკრობიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიკრობიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას N26,
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.
მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ გადანაწილებული ჰქონდათ სტანდარტების შეფასება და პროცესში ყველა წევრი აქტიურად იყო ჩართული.
ექსპერტმა ირინა ნაკაშიძემ, რომელმაც იმუშავა პირველ და მეორე სტანდარტზე, აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა ყველა ჯგუფთან. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიასა და მიზნებს, ის ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამას უკვე აქვს გარკვეული მიღწევები, დაცულია 3 სადოქტორო ნაშრომი, სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია "ვებ ოფ საიენსის" (web of science) ჟურნალში, იგრძნობა მიკრობიოლოგიის მიმართულებით დარგის თანამედროვე მზაობა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას აქვს პარტნიორ უნივერსიტეტებთან კოლაბორაცია, თუმცა არსებობს ტექნიკური ხარვეზი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების სქემის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა მოამზადოს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებელი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში კი ფიქსირდება შედეგზე გასვლა, თუმცა სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი, სავალდებულო, არჩევითი კურსები არ გადის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურების კომპეტენციაზე. შესაბამისად, 1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია სადოქტორო ნაშრომის სილაბუსი, გეგმა

და სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან. ექსპერტმა 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი ორიენტირებულია როგორც პედაგოგიური, ისე კვლევითი უნარების მქონე მიკრობიოლოგიის ლექტორის მომზადებაზე, საგანმანათლებლო პროგრამამ თავისი შედეგი უკვე გამოიღო, ჰყავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები, ისინი წარმატებით პასუხობენ ყველა გამოწვევას სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაში წინა აკრედიტაციის დროინდელი ექსპერტების რეკომენდაციები მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია, კურიკულუმი გადახალისდა და ამჟამად აგებულია უფრო მეტად ლოგიკური თანმიმდევრობით და არის მეტად მოქნილი. სავალდებულო და სასწავლო საგნები გადახალისხდა, დაემატა უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსი, პროფესორის ასისტირება, ბიოსტატისტიკა, ასევე დაემატა სხვა ბევრი სასარგებლო კურსი სავალდებულო ჩამონათვალშიც. მიუხედავად ამისა, თვითშეფასების დოკუმენტთან არსებობს გარკვეული შეუსაბამობა გარკვეული საგნის სწავლის შედეგებსა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. არცერთი სილაბუსი არ გადის მე-3 კომპეტენციაზე: პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციაზე. გამომდინარე აქედან, სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია იყო შემდეგი: მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი, გეგმა გაიწეროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტების განახლებული მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ასახული იქნება ცოდნა, უნარები, პასუხისმგბლობა და ავტონომიურობა. რაც შეეხება მე-2 სტანადრტს, მხოლოდ 2.2 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან", დანარჩენი ქვესტანდარტები კი სრულად "შესაბამისია მოთხოვნებთან". ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული სისტემის ტრანსფერის შესაბამისად, შინაარსი, მოცულობა, კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, თუმცა „მიკრობიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების მიხედვით არსებობს გარკვეული შეუსაბამობა კრედიტებთან დაკავშირებით, კერძოდ, თვითშეფასების მიხედვით კრედიტების რაოდენობა ასე გამოიყურება: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი. მისი თქმით, უმაღლესი განათლების კანონის 46-ე მუხლის მე - 2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ამოღებულია და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს არა უმეტეს 60 კრედიტს, მიუხედავად აღნიშნული ტექნიკური გაუმართაობებისა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა, კომპლექსურობა შეესაბამება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტმა კონსტანტინე ებრალიძემ მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაიცა 3 რეკომენდაცია, რასაც მეტწილად უნივერსიტეტის წარმომადგენლები იზიარებენ. ექსპერტის თქმით, პირველი რეკომენდაცია იყო ის, რომ დამატებითი რესურსების მოსაზიდადსტუდენტებს ჰქონოდათ მეტი მხარდაჭერა საგრანტო პროექტებში, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა ექსპერტებს, რომ მათ აიყვანეს სპეციალისტი. ასევე, მან აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის დროსაც ექსპერტების რეკომენდაცია იყო ელექტრონული ბაზის ქონა, რა პრობლემაც კვლავ დარჩა, თუმცა უნივერსიტეტი შიდა სახსრებით მუშაობს, საცდელ რეჟიმში ჩაშვებულია პროგრამა, თუმცა დღესდღეობით დოქტორანტებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, მე-3 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპეტთა თავმჯდომარემ მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 6 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალი, რა თანაფარდობაც ოპტიმალურია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისათვის, თუმცა გამოიკვეთა ის მომენტი, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ნაკლებად აქტიურობენ საგრანტო პროექტებში ჩართვის კუთხით. საგანი, რომელიც საგრანტო წინადადებების

მომზადებას ეხება იკითხება მოწვეული პერსონალის მიერ. ექსპერტის განმარტებით, ხშირია შემთხვევა როცა მოწვეული პერსონალი არ რჩება საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუმცა გასაუბრებისას მან მიიღო დასტური, რომ ისინი დარჩებიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს რაც შეეხება მათ აქვთ მრავალწლიანი მუშაობის გამოცდნილება სამეცნიერო და პედაგოგიური თვალსაზრისით. გამომდინარე აქედან, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან. რაც შეეხება 4.2 ქვესტანდარტს, ექსპერტმა პრობლემა დაინახა იმაში, რომ ბოლო წლების განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და არ არის უხვად წარმოდგენილი საგრანტო პროექტები. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლურ გარემოში. მისი აზრით, მათ გამონახეს საერთო ენა და აღნიშნული საკითხები უახლოეს მომავალში გამოსწორდება. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს პერსონალი გაეცნო უცხოეთში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს, გასაუბრებისას, შეკითხვაზე სცადეს თუ არა რაიმე კონტაქტზე გასულიყვნენ ამ უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან უარყოფითი პასუხი მიიღეს. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, ამ კუთხით სასურველია გააქტიურება. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტში არსებობს მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია, ასევე, სხვა ინსტიტუციებთან გაფორმებულია მემორანდუმები. ექსპერტის თქმით, შესაძლოა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მიკრობიოლოგიის ფარგლებში თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდეს, მაგრამ რა მემორანდუმებიც უნივერსიტეტს გააჩნია, იძლევა იმის საშუალებას, რომ პროექტები და კვლევები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმატებულად განხორციელდეს. მან აღნიშნა, რომ ვიზიტისას ელექტრონული ბაზა გამართულად არ მუშაობდა და დოქტორანტების ბაზა არ იყო ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ბიუჯეტს, წარმოდგენილი ბიუჯეტი იყო შთამბეჭდავი, შესაბამისად მას გაუჩნდა შეკითხვები, ვიზიტისას მოითხოვა ოფიციალურად ხელმოწერილი ბიუჯეტი, რომელიც განსხვავდებოდა წარმოდგენილი ბიუჯეტისგან. აღმოჩნდა, რომ ექსპერტებისთვის მიწოდებულ ბიუჯეტში იყო 3 წლიანი გათვლა. გამომდინარე აქედან, გაიცა რეკომენდაცია, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ნათლად გაიწეროს საიდან რა თანხა მოდის. მნიშვნელოვანი იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, შესაბამისად, სასურველია, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეტი რესურსის გამოყოფა ამ მიზნით, ბიუჯეტის წარმოდგენილ ვერსიაში გაწერილი იყო საკმაოდ სოლიდური თანხა. აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხვნებთან. ექსპერტის თქმით, სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობების ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის არაერთი სხდომა იყო ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, ხარისხის შიდა სამსახური კი აქტიურად იყო ჩართული, მაინც გაიპარა გარკვეული ლაფსუსები, რომელიც შიდა ხარისხის სამსახურის მიერ მეტად უნდა იყოს გაკონტროლირებული და იზრუნოს მის აღმოფხვრაზე. რაც შეეხება გარე შეფასებას 2018 წელს საგანმანათლებლო პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, თუმცა წარუმატებელი აკრედიტაციის შემდეგ პერსონალი და ადმინისტრაცია განსხვავებულად მოეკიდა საგანმანათლებლო პროგრამას, შეიცვალა ბევრი რამ დადებით მხარისკენ, მათ შორის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში შეიძინეს ხელსაწყოები. გარდა აკრედიტაციის ვიზიტისა, საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული იყო სხვა ინსტიტუციის გარე შეფასებაც, რომელიც დადებითი დასკვნის სახით იყო მოწოდებული. მისი თქმით, ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ვიზიტისას მათ დარჩათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ შეფასება ატარებს პერიოდულ ხასიათს, ჰყავთ შიდა ექსპერტი, დარგის სპეციალისტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში არ მონაწილეობს და აკეთებს საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზს, ასევე, ჰყავთ გარე შემფასებელი, რომელიც სხვა ინსტიტუციის წარმომადგენელია, შესაბამისად ეს ნაწილი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ხონელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა რომეო გალდავამ სტუდენტურ ბაზებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ვიზიტისას ასახული იყო საბაკალავრო-სამაგისტრო ბაზა, ახლა უკვე ასახულია სადოქტორო ბაზაც. მისი თქმით, ისინი ახორციელებენ 7 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ილია გოროზიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტები ძალიან კოლეგიურად მიუდგნენ საკითხს. მან განმარტა, რომ ისინი ყველა რეკომენდაციას ეთანხმებიან, სადისერტაციო ნაშრომი გადის სამივე კომპეტენციაზე, თუმცა გაიპარა ტექნიკური ხარვეზი საბოლოო ვერსიის აკინძვის დროს, რადგან მათ ჰქონდათ შუალედური და საბოლოო სილაბუსების ვერსიები, რაც დღეს უკვე გამოსწორებულია, საგანმანათლებლო პროგრამის 4 საგანი გადის ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობაზე. რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშს, სადაც მითითებული იყო 54 კრედიტი - სასწავლო, 120 - სამეცნერო კომპონენტი, არის ტექნიკური შეცდომა, რაც უკვე გამოსწორებულია. ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით სასწავლო წლისათვის, სექტემბრისათვის ისინი გამართული იქნება, "აიტის" სამსახურისთვის არცისე მძიმე სამუშაოა მისი გამოსწორება, ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამის განთავსებასთან დაკავშირებით კი, თქვა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ ის აიტვირთება ვებ-გვერდზე. რაც შეეხება სამეცნიერო ბაზების გამოყენებას, ის არ არის დახვეწილი და მხოლოდ ბიბლიოთეკის ოთახიდან ხდება მასზე წვდომა, სამივე საფეხურის სტუდენტების ერთ ბიბლიოთეკაში მოთავსება კი რთულია. მისი თქმით, ეს საკითხიც ახალი სასწავლო წლისათვის დადებითად გადაწყდება. რაც შეეხება მე-4 და მე-5 სტანდარტს, ის დაეთანხმა ექსპერტთა თავმჯდომარეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თავიდან ბოლომდე ვერ მოიცავს ყველაფერს, რომლის გენერირება ნებისმიერ დოქტორანტს დასჭირდება, თუმცა ძველ მდგომარეობასთან შედარებით არის წინ გადადგმული ნაბიჯები, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებელი. მისი თქმით, მასაც ძალიან გული დასწყდა, რომ ბიუჯეტში 3 წელზე გათვლილი თანხა წარმოჩინებული იყო, როგორც ერთ წელზე, ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, დიდი ცვლილებების შეტანა შეუძლებელია, თუმცა ახალი 2021 წლის ბიუჯეტს დაემატება ახალი თანხები. რაც შეეხება საგრანტო ურთიერთობებს კოლეგა უნივერსიტეტებთან, ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ გაეთვალისწინებინათ ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება და საშუალო არითმეტიკულით მოარგეს ეს ხედვები საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აუცილებელია ამ უნივერსიტეტთან კონტაქტების დამყარება ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამას ექნება ოფიციალური სტატუსი გაცილებით მომგებიანი იქნება მათთან ურთიერთობა. გრანტების მოპოვებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს არის აქილევსის ქუსლი, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის, მეცნიერის მიზანი არის ის, რომ მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი დაფინანსება, გრანტები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ სამუშაო ჯგუფში იმ საგანთან მიმართებაში, რომელიც საგრანტო პროექტების დაწერას და წყაროების მოძიებას ეხება, მოიწვიეს სპეციალისტი 15-20 წლიანი გამოცდილებით, რომელმაც ყოველი 6 თვის განმავლობაში სამუშაო ჯგუფს უნდა წარუდგინოს ანგარიში, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. მომავალში, როდესაც აუდიტზე მოვა ახალი შემფასებელთა ჯგუფი, ის იტყვის რა ნაბიჯები გადაიდგა იმისათვის, რომ წარუმატებლობა წარმატებისკენ შეეცვალა, რა რაოდენობის ფინანსების მოძიება მოხდა. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამოქმედდება შიდა გრანტირებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ხონელიძემ დაამატა, რომ საგრანტო და ფინანსური უზრუნველყოფის წყაროც მოძიებულია, ბევრი რამ უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკნაშვილმა აღნიშნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურობა სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის საერთაშორისო პროექტებში. მან თქვა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნახა დებულება, რომლის მიხედვითაც არსებობს მოლეკულური დიაგნოსტიკის სამეცნიერო ცენტრი, ის დაინტერესდა თუ იყო ეს ცენტრი დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით რა კვლევების ჩატარებაა შესაძლებელი და სტუდენტების რა რაოდენობაზეა ის გათვლილი? მან აღნიშნა, რომ

კარგია, რომ რეაკრედიტაციის პერიოდში ლიტერატურის განახლება მოხდა. ასევე, მისი აზრით, ზოგიერთი რჩევა რეკომენდაციის სახის იყო, ზოგიერთი რეკომენდაცია კი რჩევის. კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობასთან დაკავშირებულ რჩევა, თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე მაღალ ხარისხიანი ნაშრომის შესრულების ერთ-ერთი გაზომვის წინაპირობაა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ამერიკული გამოცდილება ამბობს, რომ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობიდან გამომდინარე ზოგიერთ შემთხვევაში დგება საკითხი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. კარგი იქნება, თუ სტუდენტები გამოაქვეყნებენ და გაუჩნდებათ მოტივაცია გამოაქვეყნონ მეტი სტატია "იმპაქტფაქტორიან" ჟურნალებში. რაც შეეხება რეკომენდაციებს, „მიკრობიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განთავსება ვებ-გვერდზე რეკომენდაციის ხასიათის მატარებლი ვერ იქნება, ასევე, გრანტების მიმართულებით გააქტიურების რეკომენდაციაც რჩევის ხასიათისაა, ხოლო რაც შეეხება შიდა გრანტირებას მისი თქმით, ეს დადებითად აისახება მომავალ სტუდენტებზე.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ დღეს არ არსებობს მეცნიერი, რომელიც ახდენს ნიადაგის მიკროორგანიზმების შესწავლას, ძალიან ძნელია მისი პოვნა, ის თავად ეძებს მკვლევარს და ათეული წლებია აღნიშნულზე კვლევები არ განხორციელებულა. საბჭოს წევრის თქმით, მითითებული ლიტერატურა არ იძლევა საშუალებას ნიადაგის მიკროორგანიზნების შესახებ საჭირო ინფორმაცია მიიღონ სტუდენტებმა, რადგან არის ბაკალავრიატის დონის, სილაბუსის კვლევით მეთოდში მითითებულია ნიადაგის მიკროორგანიზმების შესწავლა სინათლის მიკროსკოპით, რომელიც მისი თქმით, ვერ შეძლებს მიკროორგანიზმების დანახვას. ის დაინტერესდა როგორ აპირებდნენ ისინი, ისეთი სტუდენტის ყოლას, რომელსაც ამ საგნის გავლა ენდომება, რადგან მათი რესურსით ვერ შეძლებენ შედეგზე გავლას, მათ უნდა ჰქონდეთ თერმოსანჯღრეველა, მიკრობიოლოგიური ბოქსი და თანამედროვე მიკროსკოპები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ილია გოროზიამ პირველ რიგში აღნიშნა, რომ ის იყო ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ასპირანტი, სწავლობდა ნიადაგის მიკროორგანიზმებს, ის დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ბიოლოგიის მიმართულებით ნიადაგმცოდნეობის კურსი არის მინიმალური კურსი, რომელიც მიკრობიოლოგებს მისცემს მინიმალურ ცოდნას. რაც შეეხება მიკროორგანიზმების შესწავლას, მისი თქმით, მათ მიკრო თერმოსანჯღრევლებიც აქვთ და მიკრობიოლოგიური ბოქსიც, სინათლის მიკროსკოპით კი ხდება უშუალოდ შუშებზე მიკროორგანიზმების შეღებვა და შემდეგ სოკოების შესწავლა-შეფასებას. საბჭოს წევრის გულისწუხილი მისთვის შინაურული თემაა, შესაბამისად, აღნიშნული პრობლემური საკითხები გადაწყვეტილი და გათვალისწინებულია ამ კუთხით.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ კურიკულუმთან დაკავშირებით ჰკითხა დაწესებულების წარმომაგენელს, როგორც მან ნახა, საგანმანათლებლო პროგრამაში არის აკადემიური წერის კურსი 3 კრედიტით, სადაც კვლევის მეთოდების კონცენტრაციაც არის გათვალისწინებული, რაც მისთვის რთული დასაჯერებელია. მან აღნიშნა, რომ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ლია წულაძის 75 გვერდიანი წიგნი, რომელიც საბაკალავრო საფეხურისაა, ხოლო არასავალდებულო ლიტერატურაში ჩელიაბინის 2001 წელს გამოცემული ძალიან ზოგადი წიგნი. მისივე თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევით სასწავლო კურსში მითითებულია მიკრობიოლოგიის კვლევის მეთოდები, რომელიც არის ფაქტიურად პრაქტიკული კურსი, ზუსტად მიჰყვება ერასმუსის ფარგლებში შექმნილ სახელმძღვანელოს უნგრეთში, თუმცა ის არ არის სადოქტორო საფეხურის სახელმძღვანელო, საბჭოს წევრის აზრით, ორივე სახელმძღვანელო არარელევანტურია სადოქტორო საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ილია გოროზიამ აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის ძირითადი ხარვეზი იყო ის, რომ დოქტორანტი, რომელიც მოდის მიკრობიოლოგის მიმართულებით, მიკრობიოლოგია ზედმიწევნით უნდა იცოდეს და მას არ სჭირდება, შესაბამისად, მათ მისაღები კონტიგენტის ფარგლებში უწერიათ ისეთი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, როგორიცაა ბოტანიკა, თუ ბოტანიკოსმა არ იცის მიკრობიოლოგია, ის ირჩევს საბაზისო კურსს, რითაც აქვს საშუალება მეთოდური ნაწილი დახვეწოს შემდგომში სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვის. ინტერვიუების დროს იმ

სტუდენტებმა, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ მიკრობიოლოგიის ხარისხი, გამოთქვეს მოსაზრება, რომ მათ ეს საგანი არ სჭირდებოდათ, ის ფიქრობს, რომ წინა აკრედიტაციის დროს უარის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ კვლევის მეთოდები მიკრობიოლოგიაში არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სავალდებულო საგნად. რაც შეეხება აკადემიურ წერას, ის ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ წარმოდგენილი აქვთ ის მინიმალური უნარები მეთოდური ნაწილის. სტუდენტმა უნდა აიღოს მეთოდი ან მეთოდები და დისერტაციის დონეზე გადმოსცეს ისინი ადეკვატურად, სამეცნიერო სტატიების წერისას კი ნებისმიერ ჟურნალს აქვს მკაცრი კრიტერიუმები, რომლის დაცვის გარეშედაც შეუძლებელია სადმე სტატიის გამოქვეყნება, ასე რომ მხოლოდ აკადემიური წერით, ჩათვალეს, რომ მიუღწეველი იქნებოდა ეს შედეგი და გაშალეს ეს საკითხები საგანში „საგრანტო პროექტების შექმნისა და დაფინანსების მოპოვების ძირითადი ტექნიკა“, საგანში გაწერილია, რომ სტუდენტმა საგრანტო ორგანიზაციის დებულებას უნდა მოარგოს მისი პროექტი. მისი თქმით, წერის კულტურა გაბნეულია სხვადასხვა საგნებში, ხოლო დისერტაციის წერის მინიმლური კრიტერიუმები გაწერილია აკადემიური წერის სასწავლო კურსში.

ექსპერტმა ირინა ნაკაშიძემ დაამატა, რომ სილაბუსში უნდა იყოს ექსპერიმენტული მონაცემების სამეცნიერო სტატიებად ჩამოყალიბების საკითხი. ასევე, მან აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილი, საგანს ასწავლის საბუნებისმეტყველებო დარგის სპეციალისტი, რაც ძალიან კარგია, რადგან ამ მიმართულების პროფესიონალები სხვანაირად ხედავენ საკითხებს.

საბჭოს წევრის ნინო დობორჯგინიძის თქმით, არანაირი საერთო არ აქვს ფილოლოგს ამ საგანთან.

ირინა ნაკაშიძემ თქვა, რომ მას ძალიან გაუხარდა, როდესაც დაინახეს, რომ აკადემიურ წერას ასწავლის მიკრობიოლოგიის მიმართულების სპეციალისტი.

ეკა ლეფსვერიძემ საბჭოს წევრის ნიკა თიკანაშვილის კომენტარებთან დაკავშირებით, თქვა, რომ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება ეწერა საგანმანათლებლო პროგრამის დაცვის წინაპირობად, ექსპერტებმა დაამატეს მხოლოდ ის, რომ განესაზღვრათ მინიმალური “იმპაქტფაქტორი” იმ ჟურნალებისა, რომელიც იქნებოდა მათთვის მისაღები, რადგან არსებობს მთელი რიგი ჟურნალები, რომლებიც არის საერთაშორისო რეფერირებადი და არანაირი “იმპაქტფაქტორით”. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობის განთავსებას ვებ-გვერდზე, ეს მოთხოვნა წამოვიდა ცენტრის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაცია ჯერ გავლილი არ აქვს საგანმანთლებლო პროგრამას ის მაინც უნდა იყოს განთავსებული ვებ-გვერდზე. საგრანტო განაცხადების წარდგენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას რაც შეეხება, ის ჩამოაყალიბეს ინტერვიუებიდან გამომდინარე, როდესაც სტატუსშეჩერებულ დოქტორანტებსა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პერსონალს ჰკითხეს ბოლო წლების განმავლობაში რამდენი საგრანტო წინადადება იყო წარდგენილი, ნახეს, რომ მთლიანად გუნდს ჰქონდა სკეპტიკური დამოკიდებულება. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამა გათვლილია 3 სტუდენტზე, გამომდინარე იქიდან, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა არის 10-მდე და ვერ სტუდენტებთან გასაუბრებისას და ვერ პერსონალთან გასაუბრებისას მკაფიოდ გაწერილი გეგმა ვერ მოისმინეს, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ ჰქონდეთ გაწერილი მკაფიო გეგმა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა გაივლის აკრედიტაციას, ერთიანად როგორ გაუმკლავდნენ არსებულ სტუდენტებს ახალ მიღებულ სტუდენტებთან ერთად, ასევე, სტატუსშეჩერებული სტუდენტები არიან სხვადასხვა ეტაპზე, გასაწერია დროში გაწერილი გეგმა, თუ რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ ამ სტუდენტებმა, რომ აღიდგინონ სტატუსი.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ მისი მოსაზრებით, დაწესებულების წარმომადგენლები გულისხმობდნენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთობლივად 2-3 სტუდენტზე მომსახურებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ დაეთანხმა საბჭოს წევრს და თქვა, რომ დოქტორანტები პარალელურად მუშაობენ თავიანთ თემებზე, შესაბამისად, მისი აზრით, დოქტორანტების ის რაოდენობა, რაც საგანმანათლებლო პროგრამას კონკრეტულ დროს გააჩნია, უნდა იყოს

უზრუნველყოფილი, ამასთან დასძინა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების კუთხით კოლაბორაციები ინტესიურად გამოიყენება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ილია გოროზიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია როდესაც შეუჩერდა, 8 დოქტორანტიდან სამმა უკვე მოამზადა სადისერტაციო ნაშრომი, ჰქონდათ იმედი მათი მილევად რეჟიმში გაშვებისა, თუმცა სადისერტაციო საბჭოსგან უარყობითი პასუხი მიიღეს, აღნიშნულ დოქტორანტებს შეეძლოთ უნივერსიტეტისთვის ეჩივლათ, მაგრამ ასე არ გააკეთეს. თუ საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა და შესაძლებელი გახდა ამ სტუდენტების დაბრუნება, 3 დისერტაცია მზად არის, რომლის დაცვა რამდენიმე თვის საკითხია, დარჩენილი სტუდენტებიდან 3 სტუდენტის გარდა, ყველა მე-2 კურსის დოქტორანტია, რომლებიც ახლაც მუშაობენ იმ ბაზებზე, რომლებთანაც მათ მემორანდუმები აქვთ გაფორმებული. მაგალითად, ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, ამ სტუდენტებს დარჩათ მხოლოდ სამეცნიერო კომპონენტი. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სტუდენტების გათვლის გარკვეული ალგორითმი, რომლის გამოთვლის შემდეგ თავის დაზღვევის მიზნით გათვალეს 3 სტუდენტი ბაზასთან ერთდროულად სამუშაოდ. ის დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა არის ყოველდღიური მუშაობა, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა დოქტორანტი ერთდროულად მუშაობს ერთი და იგივე აპარატთან. მისი განმარტებით, მიკრო ბიოლოგიას აქვს ნიუანსი, რომ მიკროორგანიზმებს სჭირდებათ გაზრდა, დაახლოებით 7 დღე უნდა გენერაციას და ა. შ. შესაბამისად, ერთდროულად 6-7 სტუდენტის მიღებაც შაბათი-კვირით არანაირი პრობლემა არ იქნება, თუ საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია ისინი მოახდენენ ინვენტარიზაციას, რომელი სტუდენტი რა ეტაპზეა და რომელ ბაზასთან ურთიერთობა სჭირდებათ, რის მიხედვითაც გადაანაწილებენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფარგლებში. ეს არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან მათ ჰყავთ კოლაბორანტებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ისიც, რომ ახალმიღებულ სტუდენტებთან ექნებათ სხვა მიდგომა, განსხვავებით უკვე ჩარიცხული სტუდენტებისგან, რომლებიც სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხნენ, სხვა მოთხოვნებით, აკადემიური საბჭო შეიკრიბება ამ საკითხების განსახილველად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ეკა ლეფსვერიძემ დააზუსტა, რომ უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს იმ საკითხზე, თუ რამდენად წაუყენებენ ახალ მოთხოვნებს სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს.
შესვენება გამოცხადდა:18:42 საათზე
სხდომა განახლდა: 18:55 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიკრობიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 8 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

√ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
ა) სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი/გეგმა, ისევე როგორც შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
ბ) სასურველია ნათლად გაიწეროს სტრატეგია სტატუს შეჩერებული დოქტორანტების შესახებ;
გ) საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტთან;

დ) დამატებითი რესურსების მოსაძიებლად სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი წახალისება და მხარდაჭერა საგრანტო პროექტების წადგენის თვალსაზრისით;
ე) შემუშავდეს ელექტრონული ბაზა დოქტორანტებისთვის;
ვ) განთავსდეს მიკრობილოგიის სადოქტორო პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://www.sou.edu.ge;
ზ) პროგრამის ხელმძღვანელები და ძირითადი პერსონალი გააქტიურდნენ გრანტების მოპოვების კუთხით და წაახალისონ დოქტორანტები ამ მიმართულებით;
თ) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ინტენსიურად ფოკუსირდეს ინტერნაციონალიზაციაზე;
ი) გაიმართოს და დაიხვეწოს სტუდენტების ელექტრონული ბაზა;
კ) განხორციელდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფა;
ლ) ნათლად გაიწეროს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი;
მ) ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეტი რესურსი გამოიყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე;
ნ) შიდა ხარისხის სამსახურმა ეფექტურად გამოავლინოს პროგრამის დამუშავების დროს დაშვებული ხარვეზები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე.

რჩევები

ა) სასურველია ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის შინაარსში გათვალისწინებული იქნას, კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების სწავლებაც, რაც მონაცემების სტატისტიკური დამუშავების დროს შრომატევად სამუშაოს კიდევ უფრო გაამარტივებს;
ბ) სასურველია ნათლად გაიწეროს სტატუსშეჩერებული დოქტორანტების სტრატეგია;
გ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად სასურველია მიეთითოს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების მინიმალური „იმპაქტ ფაქტორი" (თუნდაც 0.5);
დ) გამოკითხვებით მიღებული შედეგების კუმულაციური ანალიზი უფრო ეფექტურად უნდა გავრცელდეს პროგრამაში მონაწილე პერსონალს შორის (მაგალითად ელექტრონული ბაზის საშუალებით);
ე) გარე შეფასებები (არა მხოლოდ აკრედიტაციის მიზნით) უნდა განხორციელდეს რეგულარულად, გონივრულ ვადებში და სხვადასხვა ექსპერტის მიერ. შეფასების დოკუმენტები სასურველია დადასტურებული იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით;
ვ) სასურველია გააქტიურდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებში ჩართულ პერსონალთან ინტენსიური პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც დოქტორანტებს როგორც სწავლის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ განვითარების მეტ შესაძლებლობებს მიცემს.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილება

√ აკრედიტაციის შესახებ
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2]მ უხლის პირველი პუნქტის, 27[5]მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მ უხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული

პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მიკრობიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, რვა თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 19:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კიკნაძე ნიკოლოზ